სამაგისტრო პროგრამა
ფინანსები და საბანკო საქმე

2006

1. სამაგისტრო პროგრამის დასახელება
"ფინანსები და საბანკო საქმე" **Finance and Banking;**

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ფინანსების და საბანკო საქმის მაგისტრი. **MBA (in Finance and Banking);**

3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი (CV)
– ირაკლი კარლოს ძე კოვზანაძე;
– ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის პროგრამის სრული პროფესორი.
– საკონტაქტო ინფორმაცია (ბინის ტელეფონი: 29-22-15; სამსახური: 30-40-66, kovzanadzei@caucasus.net)
– ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წაკითხული სალექციო კურსები:
ა) კომერციული ბანკების ფუნქციონირების საფუძვლები;
ბ) ცენტრალური და კომერციული ბანკები;
გ) კომერციული ბანკების ფუნქციონირების მექანიზმები;
– სამეცნიერო კვლევის სფერები:
სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის ირაკლი კოვზანაძის სამეცნიერო კვლევის სფეროები განსაზღვრულია ფინანსების და საბანკო საქმის მიმართულების პროგრამის, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ქვეყნის წინაშე აქტუალური პრობლემების დამუშავების საფუძველზე, რომლებიც ძირითადად ოთხი მიმართულებით წარიმართება. აღნიშნულიდან გამომდინარე **სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:**
ა) ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფის გზების ძიება;

ბ) ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების ღონისძიებების განსაზღვრა;

გ) ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და არსებული კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის გზების ძიება სიღარიბის დაძლევის პროგრამის გათვალისწინების საფუძველზე;

დ) სადაზღვევო სისტემის ეფექტიანად წარმართვის მიმართულებების ფორმირება და მისი ნორმალური ფუნქციონირებისთვის პირობების შექმნის დასაბუთება.

– ბოლო ხუთი წლის პუბლიკაციები:

1. „Liquidity as a Criterion of Bank Management", BULLETIN OF THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES, Tbilisi, 2001, 164, ¹2. p., 407-409.

2. "ლიკვიდობის ცნების განსაზღვრისათვის", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკის სერია, თბილისი, 2001, ტომი 9, №3, გვ., 109-122.

3. "საბანკო სისტემის მდგრადობის შესახებ", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკის სერია, თბილისი, 2001, ტომი 9, №4. გვ. 195-204.

4. "კომერციული ბანკების ფუნქციონირების სრულყოფის საკითხები", "სოციალური ეკონომიკა", თბილისი, 2001, №1, გვ., 101-109.

5. "ეკონომიკის საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფის გაუმჯობესების პრობლემა საქართველოში", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამეცნიერო ნაშრომთა კრებული "ეკონომიკის აქტუალური საკითხები", თბილისი, 2001, XV გამოშვება, გვ., 80-91.

6. "კომერციული ბანკების საიმედოობა და მდგრადობა", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული "ეკონომიკის აქტუალური საკითხები", თბილისი, 2001, XVI გამოშვება, გვ., 50-56.

7. „Вопросы создания эффективной системы управления банковскими рисками“, „Деньги и Кредит“, Москва, 2001, №3, стр., 49-53.

8. „Некоторые вопросы развития конкурентной среды банковского рынка“, „Банковское Дело“, Москва, 2001, №4, стр., 41-43.

9. „О методах управления проблемными банками“, „Финансы и Кредит“, Москва, 2001, №16 (88), стр., 78-80.

10. „Регулирование ликвидности кредитных организации центральным банком“, „Бухгалтерия и Банки“, Москва, 2001, №11, стр., 28-31.

11. „Операции факторинга: их виды, регулирование, учет и анализ доходности“, „Деньги и Кредит“, Москва, 2001, №11, стр., 52-55.

12. „Достаточность капитала – ключевой элемент устойчивости коммерческого банка“, „Банковское Дело“, Москва, 2001, №12, стр., 5-8.

13. „Системные банковские кризисы в условиях финансовой глобализации“, „Вопросы Экономики“, Москва, 2002, №8, стр.89-95,

14. „Некоторые проблеиы перехода банков на международные стандарты финансовой отчетности“, „Экономист“, Москва, 2002, №10, стр., 43-46.

15. „Денежно-кредитная политика в условиях системных банковских кризисов: национальные и международные аспекты“, „Деньги и Кредит“, Москва, 2003, №2, стр.,45-47

16. "საკრედიტო კოოპერაცია საბანკო სისტემაში: საერთაშორისო გამოცდილება", "ბანკი", თბ., №3-4, 2002, გვ. 44-51

17. "საბანკო ანაბრების დაზღვევის სისტემის როლი ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფაში", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკის სერია, თბ., 2002, ტ. 10, №3-4., გვ. 163-173

18. „Реструктуризация банковских систем: стратегия и тактика преодоления системных кризысов“, „Финансы“, Москва, 2003, №3 , стр.,72-74.

19. „Финансовая сфера: пути выхода из кризыса“, „Экономист“, Москва, 2003, №6, стр., 33-36,

20. „Особенности развития банковских систем бывших социалистических стран“, „Вопросы экономики“, №5, Москва, 2004, стр.135-141,

21. „Валютно-финансовый механизм стран с развивающейся рыночной экономикой в условиях глобализации“, „Финансы и Кредит“, №23, Москва, 2004, стр. 40-47

– მონოგრაფიები

1) "საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე" ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001.

2) „Системные банковские кризисы в условиях финансовой глобализации“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003.

3) „Тенденции и перспективы развития экономики и банковского сектора трансформационных стран“, изд., „Финансы и Статистика“, Москва, 2005.

– **დამატებითი ინფორმაცია:**

1. საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკური საბჭოს წევრი 2005 წლიდან დღემდე;

2. სეს (სწავლულ ექსპერტთა საბჭო)-ის ეკონომიკური სექციის წევრი 2006 წლის ბოლომდე;

3. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (ღ) და ეკონომიკური თანამშრომლების და განვითარების ორგანიზაციის (ჩ)-ის ერთობლივი ევრაზიის ქვეყნებში საბანკო კორპორაციული მართვის საკითხების კომისიის თავმჯდომარე 2007 წლიდან.

4. **პროგრამის ანალოგი:** სამაგისტრო პროგრამა – „ფინანსები და საბანკო საქმე“ ანალოგიების სახით არსებობს შემდეგ უნივერსიტეტებში:

a. http://www.cursos-masters-fundacion-

ciff.tumaster.com/Masters_y_Cursos_de_Master_in_Finance_and_Banking-for15841.htm

b. http://www. fgda.org/html/fset%20gen.htm

5. **სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

<u>**პროგრამის მიზანი:**</u>

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის თანამედროვე ეტაპზე რადიკალური ცვლილებები მიმდინარეობს საფინანსო-საბანკო, საბაჟო-საგადასახადო და სადაზღვევო საქმიანობის სფეროში. ყალიბდება თვისობრივად სრულიად განსხვავებული საფინანსო-საბანკო, საბაჟო-საგადასასახადო და სადაზღვევო სისტემები, ფართოვდება მათი ოპერაციების არეალი, მყარდება კავშირები საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სისტემებთან და ა.შ.

საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში გადამწყვეტ როლს თამაშობს „ფინანსებისა და საბანკო საქმის“ სპეციალობის მაგისტრი, რომელიც ღრმად უნდა დაეუფლოს ფინანსებისა და ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების თეორიულ საფუძვლებს, მათი პრაქტიკული გამოყენების წესებსა და ხერხებს.

“ფინანსების და საბანკო საქმის” სპეციალობის მაგისტრატურის ძირითადი მიზანია ფინანსური მეცნიერების კუთხით მეცნიერული კვლევის მეთოდების საფუძვლიანი სწავლება; მეცნიერული ცოდნის განუწყვეტელი გაღრმავების თვისებების ჩამოყალიბება; სამეცნიერო პრობლემების დასმისა და მისი

კვლევის ორგანიზაციის უნარის განვითარება; დოქტურანტურაში სწავლების უფლების მოპოვება.

<u>სწავლის შედეგი:</u>

"ფინანსების და საბანკო საქმის" სამაგისტრო პროგრამა ემყარება ძირითადი მოდულებით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინების გადაცემის ხარისხს, სტუდენტების მიერ მათი ათვისების ხარისხსა და მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების ხარისხს შორის ერთიანობისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დაცვას.

სპეციალისტმა უნდა იცოდეს:

- ზოგადი ეკონომიკური და სამართლებრივი დისციპლინების საფუძვლები იმ მოცულობით, რაც საჭიროა საფინანსო-საბანკო, საბაჟო-საგადასახადო და სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გამოსაკვლევად და გადასაწყვეტად.
- სპეციალობის დისციპლინები. ამ სფეროში მას უნდა გააჩნდეს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, რაც ეკონომიკურ ფაქტორთა ანალიზის, შედეგთა განზოგადების, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი პრაქტიკული განხორციელების უმნიშვნელოვანესი საწინდარია.
- უცხო ენები, რაც მას საშუალებას მისცემს საზღვარგარეთის ქვეყნების საფინანსო-საბანკო, საბაჟო-საგადასახადო და სადაზღვევო სისტემის მუშაკებთან კავშირის დამყარების და საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას.
- ეკონომიკური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების თანამედროვე ტექნიკა და ტექნოლოგიები, რის გარეშეც საფინანსო-საბანკო, საბაჟო-საგადასახადო და სადაზღვევო სფეროში რაციონალური საქმიანობა წარმოუდგენელია.

<u>სპეციალისტს უნდა შეეძლოს:</u>

- საწარმო-ორგანიზაციების, დაწესებულებების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, განსახორციელებელ ღონისძიებათა შემუშავება და კონტროლი მათ შესრულებაზე.
- საბანკო ოპერაციების განხორციელება; საბანკო საქმიანობისა და ბანკის პერსონალის მართვის რაციონალური და ეფექტიანი სისტემის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს ბაზრის კონიუნქტურას.
- გადასახადების ტარიფების გაანგარიშება და მათი ამოღების უზრუნველყოფა. საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულება.
- სადაზღვევო საქმიანობის რაციონალურად და ეფექტიანად წარმართვა.
- ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.
- საფინანსო-საბანკო, საბაჟო-საგადასახადო და სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული ეკონომიკურ-სამართლებრივი საკითხები დამოუკიდებლად გადაწყვეტა, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება.
- მეცნიერული კვლევის ჩატარება საფინანსო-საბანკო, საბაჟო-საგადასახადო, სადაზღვევო ბიზნესისა და სამართლის სფეროში.

<u>**დასაქმება**</u>: საბაზრო ეკონომიკის კანონები, კონკურენციის მკაცრი პირობები ფინანსისტებს, ბანკირებს და სადაზღვევო სამსახურის მუშაკებს უყენებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს: 1. აუცილებელი ხდება მათი მუშაობის სტილისა და მეთოდების სტერეოტიპის შეცვლა; 2. ახალი მრავალსაფეხურიანი ფორმების ათვისება-დანერგვა; 3. ფინანსების, საბანკო და სადაზღვევო საქმის მიმართულებებით მარკეტინგისა და მენეჯმენტის, - მათი საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის ხელოვნების დაუფლება, რაც თავის მხრივ საფინანსო-საბანკო და სადაზღვევო ბიზნესის სამართლებრივი ბაზის შესწავლის გარეშე შეუძლებელია. სწორედ საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის მცოდნე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას ისახავს მიზნად სამაგისტრო პროგრამა და დისციპლინის სწავლების კონცეფცია, ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სპეციალისტის დანიშნულების, ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გამოვლენა.

სპეციალისტის დანიშნულება.

"ფინანსების და საბანკო საქმის" მაგისტრის დანიშნულებაა საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო სისტემის დაწესებულებებში წარმატებული საქმიანობის განხორციელება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნის შესაბამისად.

აღნიშნული სპეციალობის კადრები, გარდა საფინანსო-საბანკო და სადაზღვევო სფეროში, შეიძლება დასაქმდნენ მართვის უმაღლეს ორგანოებში, როგორც სახელმწიფო, ასევე კომერციულ სტრუქტურებში.

"ფინანსების და საბანკო საქმის" მაგისტრანტს უნდა ჰქონდეს პროფესიული მომზადების მაღალი დონე, ეკონომიკის საფუძვლების ღრმა ცოდნა, ეკონომიკურ ფაქტორთა ანალიზისა და შედეგთა განზოგადების უნარი, საფინანსო-საბანკო და სადაზღვევო სფეროს დაწესებულებათა მართვის და ორგანიზაციის, მენეჯმენტისა და მარკეტინგის ცოდნა.

– სასწავლო კურსების დისციპლინების საგნების ათვისების საფუძვლები. "ფინანსების და საბანკო საქმის" მაგისტრანტმა უნდა იცოდეს:

- ზოგადი ეკონომიკური და სამართლებრივი დისციპლინების საფუძვლები იმ მოცულობით, რაც საჭიროა საფინანსო-საბანკო და სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გამოსაკვლევად და გადასაწყვეტად.
- სპეციალობის დისციპლინები. ამ სფეროში მას უნდა გააჩნდეს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, რაც ეკონომიკურ ფაქტორთა ანალიზის, შედეგთა განზოგადების, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი პრაქტიკული განხორციელების უმნიშვნელოვანესი საწინდარია.
- უცხო ენები (B1), რაც მას საშუალებას მისცემს საზღვარგარეთის ქვეყნების საფინანსო-საბანკო, საბაჟო-საგადასახადო და სადაზღვევო სისტემის მუშაკებთან კავშირის დამყარების და საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას.
- ეკონომიკური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების თანამედროვე ტექნიკა და ტექნოლოგიები, რის გარეშეც საფინანსო-საბანკო, საბაჟო-საგადასახადო და სადაზღვევო სფეროში რაციონალური საქმიანობა წარმოუდგენელია.

– აღნიშნული კურსის გავლის შედეგად მაგისტრს შეუძლია:

- საწარმო-ორგანიზაციების, დაწესებულებების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, განსახორციელებელ ღონისძიებათა შემუშავება და კონტროლი მათ შესრულებაზე.
- საბანკო ოპერაციების განხორციელება; საბანკო საქმიანობისა და ბანკის პერსონალის მართვის რაციონალური და ეფექტიანი სისტემის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს ბაზრის კონიუნქტურას.
- გადასახადების ტარიფების გაანგარიშება და მათი ამოღების უზრუნველყოფა. საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულება.
- სადაზღვევო საქმიანობის რაციონალური და ეფექტიანად წარმართვა.
- ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით
- საფინანსო-საბანკო და სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული ეკონომიკურ-სამართლებრივი საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტა, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება.

6. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

1. მიღებული უნდა ჰქონდეს ეკონომიკის ან ბიზნესის ბაკალავრის ხარისხი.

2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული მაგისტრატურაში მისაღები საგამოცდო სისტემა გულისხმობს ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე ერთიან მისაღებ გამოცდებს, რომელიც ჩატარდეს წერითი ფორმით. "ფინანსების და საბანკო საქმის" მაგისტრატურაში ჩამბარებელს მოეთხოვება უცხო ენის ცოდნა საშუალო დონეზე (B1).

(B1 დონე– <u>კომუნიკაცია</u>–შეუძლია ნაცნობ თემებზე (პროფესია, სწავლა, თავისუფალი დრო) მკაფიოდ წარმართული საუბრის გაგება; შეუძლია გამოცდილების, მოვლენების აღწერა და თავისი აზრების დასაბუთება;
<u>კითხვა</u> – შეუძლია მარტივი ენით დაწერილი ტექსტების გაგება, რომლებიც მის პროფესიულ სფეროს ეხება;
<u>წერა</u> – სეუძლია ნაცნობ თემებზე წერა, საკუთარი გამოცდილებისა და შთაბეჭდილებების აღწერა).

7. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა (დანართი 1)

"ფინანსების და საბანკო საქმის" სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა ემყარება საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმიანობის მოდულს, სამაგისტრო პროგრამის საგნების ჩამონათვალს, რომელიც მოიცავს ძირითად მოდულებს, მათზე გათვალისწინებულ კრედიტების გადანაწილებას სემესტრების მიხედვით საერთო მოთხოვნების გათვალისწინების საფუძველზე (ცხრილი თან ერთვის).

8. საგნების სილაბუსები (დანართი 2)

თითოეული საგნის სილაბუსი თსუ-ში მიღებული ფორმატის მიხედვით წარმოდგენილია და თან ერთვის.

9. კვლევითი კომპონენტი (დანართი 3)

ფინანსების და საბანკო საქმის მიმართულების განვითარების პროგრამიდან გამომდინარე სამეცნიერო თემატიკა, (რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტს შეეძლება სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა) ოთხი მთავარი მიმართულებით ხორციელდება:

1. საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფის პრობლემების დამუშავება. **2.** საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გარდაქმნის საკითხების შესწავლა. **3.** სადაზღვევო საქმის ფუნქციონირების გაუმჯობესების პირობების გაანალიზება და მის საფუძველზე არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის კონკრეტული გზების განსაზღვრა. **4.** ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური სტაბილიზაციის პრობლემების გადაწყვეტის ღონისძიებების დამუშავება სიღარიბის დაძლევის პროგრამის გათვალისწინების საფუძველზე.

აღნიშნული მიმართულებიდან გამომდინარე დამუშავდა სამეცნიერო კვლევითი პროექტი – „საგადასახადო რეფორმა და ფისკალური პასუხისმგებლობა; საფინანსო და სოციალური პოლიტიკის სრულყოფის გზები საქართველოში“ პოსტდამის უნივერსიტეტის ფინანსურ მეცნიერების კათედრასთან, გერმანიის ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტთან და თსუ სტატისტიკის კათედრასთან ერთად, რომელმაც 2005 წელს მოიპოვა გრანტი და 2005 წლის სექტემბრიდან ეს პროექტი ამოქმედდა. მისი ხანგრძლივობაა 2 წელი (პროექტის ღირებულებაა 64000 ევრო), მას აფინანსებს გერმანიის ფოლკსვაგენის ფონდი. მასში ჩაბმულია ასოცირებული პროფესორები გ. გამსახურდია, თ. გამსახურდია ნ. კაკაშვილი, ასევე “ფინანსები და საბანკო საქმის” სპეციალობის მაგისტრანტები. აღნიშნული გრანტის საშუალებით 2005 წლის ოქტომბერში შეძენილი იქნა ფაკულტეტისათვის ოთხი უახლესი, **“PENTIUM 4”** კომპიუტერი, ასევე გათვალისწინებულია რამდენიმე მაგისტრის სწავლების გაგრძელება და მივლინება გერმანიის ზემოთ აღნიშნული სასწავლო-კვლევით დაწესებულებაში.

– ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამაგისტრო ნაშრომების ჩამონათვალი (**დანართი 4**):

3. სამაგისტრო ნაშრომი საერთო საუნივერსიტეტო მოთხოვნილების გარდა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ დამატებით პირობებს, კერძოდ ნაშრომში დასაბუთებული უნდა იქნას თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი, კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები, მეცნიერული სიახლის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა; ასევე გამოვლენილი უნდა იქნას ახლებური აზროვნებისა და დასკვნა-რეკომენდაციის გაკეთების შესაძლებლობები. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები შეიძლება დაიყოს კვლევითი კომპონენტების შესაბამისად 100 ქულიანი შეფასებით. შერჩეული თემის აქტუალობა, კვლევის მიზნის და ამოცანების განსაზღვრა – 15 ქულამდე შეფასებით, კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები – 10 ქულამდე შეფასებით, მეცნიერული სიახლის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, ახლებური აზროვნება და დასკვნა-რეკომენდაციის გაკეთების შესაძლებლობები – 50 ქულამდე შეფასებით; საკითხების გადმოცემის მეცნიერული სიღრმე და თანმიმდევრობა – 15 ქულამდე შეფასებით; გაფორმება, გამოყენებული ლიტერატურის დასახელება – 10 ქულამდე შეფასებით. 91-100 – ფრიადი, 81-90 – ძალიან კარგი, 71-80 – კარგი, 61-70 – საშუალო, 51-60 – დამაკმაყოფილებელი, 41-50 – არადამაკმაყოფილებელი,

9სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

“ფინანსების და საბანკო საქმის” პროგრამის განხორციელებისათვის კათედრას, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან ერთად გააჩნია სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სათანადოდ მომზადებული კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლები; კერძოდ არსებობს კომპიუტერული ბაზა, რომელიც ჩართულია ინტერნეტში, მაგისტრანტები უზრუნველყოფილი არიან ფაკულტეტის ბიბლიოთეკის მიერ საჭირო ლიტერატურით, მიმდინარეობს ამჟამად როგორც კომპიუტერული ბაზის, ასევე

ბიბლიოთეკის ლიტერატურის განახლება ფოლკსვაგენის ფონდიდან მიღებული გრანტის გამოყენების საფუძველზე.

10. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამები

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და განხორციელება დაგეგმილი გვაქვს პოტსდამის უნივერსიტეტის საფინანსო კათედრასთან ერთად 2008 წლიდან, როდესაც დამთავრდება ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი პროექტი – „საგადასახადო რეფორმა და ფისკალური პასუხისმგებლობა: საფინანსო და სოციალური პოლიტიკის სრულყოფის გზები საქართველოში“, რომელიც ხორციელდება 2 წლის განმავლობაში ფოლკსვაგენის ფონდის ფინანსური მხადაჭერით.